წელიწადი მეცხრე — № 410

პარასკევი, 8 თებერვალს 1874

# დროება

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში

ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

### შინაარსი:

რედაქციისაგან — საქართველო: ორიოდე სიტყვა ქართულ სცენის მოყვარეებზედ — ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის კომმისიას — წვრილი ამბავი — „დროების“ კორრესპონდენცია: ავჭალიდგან — წიგნი რედაქტორთან — რუსეთი: წვრილი ამბები — უცხო ქვეყნები: — ინგლისი — წერილი პარიჟიდგან — ნარევი — განცხადება.

ფელეტონი: გაკვრა-გამოკვრა, ნ. სკანდელისა.

### რედაქციისაგან.

რადგანაც ზოგიერთი შარშანდელი ხელის მომწერი გვესაყვედურება, რატომ წრეულსაც არ გვიგზავნით „დროების“ ნომრებსო, ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ საყოველთაო საცნობად, რომ გაზეთი „დროება“ ეგზავნება:

პირველად იმათ, ვინც ერთხელ სამუდამოდ გამოუცხადა რედაქციას, რომ გაზეთი ყოველ წლივ მეგზავნებოდესო;

მეორედ იმათ, ვინც გაზეთზედ ხელი მოაწერა;

მესამედ იმათ, ვინც ფოშტით, ან ესმეს პირით გაზეთის მიღების სურვილი შეგვატყობინა.

მოუთხოვნელად გაზეთის გაგზავნა ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგანაც ამ ნაირი გაგზავნა ზოგმა იქნება დაძალებად ჩასთვალოს. ჩვენის აზრით, მოუთხოვნელად გაზეთის გაგზავნა უფრო ძნელია, ვინემ ნისიად გაზეთის დაბარება. ამიტომ ჩვენ სრულიად არა ვერთ დანაშაული, თუ ზოგიერთმა ხუთი ან ათი კაპეიკის დახარჯვა და რედაქციის კანტორაში უბრალო წიგნის მოწერა დაიზარა და ამითი გაზეთის კითხვას მოაკლდა.

## საქართველო

### ორიოდე სიტყვა ქართული სცენის მოყვარეებზედ

სამს კვირაში სამი წარმოდგენება! ეს ფრიად შესანიშნავი მოვლენაა ჩვენს დაყრუებულს ცხოვრებაში.

საზოგადოებაში, ვგონებ, ისეთმა აზრმაც კი იწყო გავრცელება, რომ ქართული თეატრი შეუძლებელი საქმეაო. ამ დროს ხედავთ რამდენსამე ახალ-გაზდას, რომელნიც იღებენ თავის თავზედ ყოველს დაბრკოლებას, შრომას, ათას დავიდარაბას, და ახერხებენ სამი წარმოდგინების გამართვას ზედი-ზედ.

ჭეშმარიტად ამ ნაირი საზოგადო საქმისთვის შრომა მადლობის ღირსია. ჩვენ ჩვენის მხრით კმაყოფილებით ვსწირავთ მადლობას „ქართული სცენის მოყვარეებს“, და ვისურვებთ, რომ მათი შრომა შემდეგშიაც მზგავსი სასარგებლო საქმისთვის მოეხმაროსთ.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ რომ სახელი პირველი საძირკველის დასკვნისა ქართული თეატრის დაარსებისთვის უეჭველად „ქართული სცენის მოყვარეებს“ ეკუთვნება. მათ პირველად გამართეს რეგულიარული სპექტაკლები, მოაგონეს საზოგადოებას ქართული თეატრის არსებობა მორონცოვის დროს, წასრული მხიარულება და კმაყოფილება.

ეს ყველაფერი უთუოდ დიდი დამსახურებაა, მაგრამ ამაზედ უმჯობესი კიდევ ერთი გარემოება გამოჩნდა ამ შემთხვევაში. ეს ისაა, რომ, თუ კი ქართული თეატრი იქნა, იმას თავის საზოგადოებაც ეყოლება. დამტკიცდა, რომ ისეთ უცბათ და ხშირად ცუდათ შესწავლულ და თითქმის უაზრო პიესებზედ თუ კი მოდიოდა საკმაოთ ხალხი, რაღა უნდა იქნეს მაშინ, როდესაც ნიადაგი ტრუპპაც იქნება და პიესებიც ხეირიანი?

საქმე აი რაშია ეხლა: საზოგადოებაში არის ქართულ წარმოდგენაზედ სიარულის სურვილი; „ქართული სცენის მოყვარეები“ ყოველ თავის შრომას და ნიჭს სწირავენ ამ საქმეს; კერძო პირებიც მზათ არიან დაეხმარონ თეატრის დაარსებას; ყველა ელემენტი საქმის კარგათ წაყვანისათვის მზათ არის. ჩვენ გვაკლია მხოლოდ ერთი კაცი, ისეთი კაცი, რომელიც იქნეს განხორციელება ამ საზოგადო ლტოლვილებისა; ისეთი კაცი, რომელმაც შეკრიბოს, შეათანხმოს ეს სხვა და სხვა მოძრავი ძალა და წინ წაუძღვეს ქართული თეატრის დაარსებას.

მეველე.

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის კომმისიას

ჩვენ გვემდურიან ბანკის საქმეზედ წაყრუებას და უფ. სკანდელის დაპირების აუსრულებლობას. დღე არ გავა, რომ ჩვენ ან წიგნი არ მოგვივიდეს, ან პირადი საყვედური არ მოგვესმას, რატომ დაპირებისამებრ ქუთაისის ბანკის პროექტი არ გაარჩიეთო.

ჩვენ დიდი ხანია გამოვაცხადეთ, რომ ბანკის პროექტის მიღებას ველით და როგორც მივიღებთ, მაშინვე გავარჩევთქო. ამას გარდა ჩვენ ვითხოვეთ — „დროებაში“ გამოცხადებით — რომ ბანკის კომმისიას თავისი პროექტის პირი უფ. ნ. ნიკოლაძისთვის ეთხოვებინა. ამგვარისავე თხოვნით მივმართეთ უფ. კომმისიის თავმჯდომარეს, თ. გიორგი აბაშიძეს. ჩვენდა სამწუხაროთ არც უფ. ნიკოლაძის პირად თხოვნას, არც რედაქციის განცხადებას, არც რედაქციის წიგნს კმაყოფილება დღემდი არ მისცემია.

უფ. ნიკოლაძე ამ მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიდის, და შემდეგ ჩვენ საზოგადოების სამდურავს ველარ აუვალთ. საზოგადოებას ეგონება, რომ გარჩევის დაგვიანება ჩვენი ბრალია, და არა იმ კომმისიის, რომელსაც ბანკის პროექტი ხელში ჩაუგდია და ცხრა-კლიტულში ინახავს.

ვაცხადებთ უკანასკნელად, რომ თუ უფ. გიორგი აბაშიძე შუა ამ თვეს ბანკის პროექტის პირს უფ. ნიკოლაძეს არ გარდასცემს, ჩვენ სრული უფლება გვექნება ისე მოვეპყრათ ბანკის კომმისიას, როგორც ჩვენ

---

## ფელეტონი

### გაკვრა-გამოკვრა

როგორც იქნა საუკუნო განსვენება ეღირსა მოუსვენარს და მეტის-მეტათ მოძრავს წარსულს წელიწადს. ჩვენის მხრით იმას სრული შენდობის და კეთილი ხსენების მეტი არაფერი ეკადრება. ჩვენთვის — ესე იგი ჩვენი ქვეყნისთვის — იმას უსარგებლოთ და უკვალოთ როდი ჩაუვლია, და დიდათ როდი შეცდება ის, ვინც ამ წელიწადს მომავალში ძველი და უფერული ცხოვრების დამარცხების ჟამათ ჩათვლის.

საკვირველი წელიწადი იყო, მართლაც, ეს 1873 წ. თავიდამვე დაწყებული მის უკანასკნელ დღემდი იმას არც ერთხელ ხეირი არ დაუყრია იმისთვის, რაც დამხობის ღირსი იყო, არც ერთი გამარჯვების უარი არ უთქვამს იმისთვის, რასაც მომავალში ძლიერება და აყვავება უნდა ელოდეს. თითო-თითოთ დათხარა იმან ძველი ცხოვრების დაფუტურებული ჯირკები, თითო-თითოთ მოჰკაფა ყაყაჩოსავით ამაყათ გადაბიბინებული უსულო და უგემო ყვავილები, და იმედის, ძალის და მომავლის სული ჩაუდგა ყველაფერს, რაც კი მომავლის იმედით ცხოვრობს და მომავლის ბედისთვის შრომობს.

÷

განსაკუთრებითი მადლობით უნდა მოიხსენოს ეს წასრულის წელიწადი ჩვენმა მწერლობამ, და კიდევ უფრო განსაკუთრებით — ჩვენმა „დროებამ.“ ამ ერთი წლის განმავლობაში მწერლობას ცოტაოდენი საშუალება მიეცა იმისთანა საგნებზედ და გარემოებებზე სჯისა, რომელნიც პირდაპირ ჩვენი საზოგადოების მდგომარეობას და საჭიროებას შეეხებოდენ. ამისგამო მწერლობას უწინდელზე უფრო მეტი გასავალი მიეცა, უწინდელზე უფრო მეტი ყურადღება ეღირსა ჩვენი საზოგადოების მხრით. თვითონ მწერლობის გავლენაც, ამის გამოისობით, გვარიანათ გაძლიერდა, და ის გამწარებული შლაპა-შლუპი, დავა, ქიშპი და წინააღმდეგობა, რომელიც ასტეხა შარშანდელმა მწერლობამ, ყველაზე უფრო დაუმალავი დამტკიცებაა მისი გავლენის გაძლიერებისა. შარშან აქეთ დარწმუნებით და საფუძვლიანათ შეუძლია სთქვას და იფიქროს ჩვენმა მწერლობამ, რომ მისი მქადაგებლობა უწინდელივით როდიღა რჩება „ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა,“ რომ მისი სიტყვა — კარგათ თუ ავათ, საზოგადოების ყურამდის აწევს, საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს, საზოგადოების ყოფაქცევაზე ცოტაოდნათ მაინც მოქმედებს. და ამით, ხომ, ყოველი პატიოსანი მწერლის შრომას და ძალას იმედის და წარმატების ფრთები ესხმება.

÷

მეორეს მხრით, ყველაფერს, რაც ჩვენს საზოგადოებაში ცუდი და საძულველი იყო, რაც ყოველი ხეირიანი კაცის თვალში ზიზღისა და დამხობის ღირსად ითვლებოდა, ცოტაოდნათ მაინც ძალი მოსტყდა შარშანდელი წლის განმავლობაში, ცოტაოდნათ მაინც შეუმცირდა უწინდელი ყოვლის-შემძლებელი და ყოვლის-გამბედავი ძალა და მნიშვნელობა. რამდენი უსაფუძვლო და ხეპრული აზრების და მიმართულების სიფუტურე გამოაშკარავდა ან გამოჩნდა მაინც შარშან, რამდენ უხეირო და უღირსო გავლენიან პირებს დაეკვეთა ფრთები და ფრჩხილები, რამდენს საქვეყნო საქმეს დაწყებას ფეხქვეშ გამოუცურდა უგუნურობით ან ბოროტებით შემზადებული ნიადაგი! რა საკვირო მაგალითების მოყვანა — ისინი ყველას ახსოვს, ყველას თვალწინ უდგია. საზოგადოთ კი ითქმის, რომ ამ საკვირველს და შესანიშნავს მოძრაობას ისეთი ბუნებითი ძალა მიეცა, რომ ნელ-ნელა, მწერლობისგან ხელუხლებლათაც წაიქცნენ, დაემხვენ ან დასუსტდნენ ისეთი საქმეები და პირებიც, რომელნიც დამხობის ან დამცირების ღირსნი იყვნენ, მაგრამ რომელთაც სხვა და სხვა მიზეზების გამო არ შეხებია ჩვენი მწერლობა. ასე, ხშირათ, ერთიანათ იქცევა ერთი მეორეზე მიდგმული ბანქოს „სახლები“ ბავშვის სუსტი და მოუხერხებელი ხელით აშენებულნი, თუმც მათი დამხობელი შებერვა მარტო ორიოდე პირველ ბანქოებს შეეხო.

÷

ამ მდგომარეობაში, როცა იმას, რაც დამხობის ღირსია, არა თუ ძალა და მნიშვნელობა აკლდება, თავის-თავის იმედიც და თვით-რწმუნებაც ეკარგება, როცა, ამ დამხობის და დასუსტების გრძნობით გაბრუებული, ის შეცთომას შეცთომაზე ართავს და ხეპრობას ხეპრობაზე, როცა ის თვითონ თავისი ხელით და ტვინით თავის-თავს უფრო მეტ ზიანს და ვნებას აძლევს, ვინემ ჩვენმა მწერლობამ იმას მოუხერხა, — თან და თან უფრო და უფრო ძლიერდება საზოგადოებაში ის გრძნობა და რწმუნება, რომ უწინდელი „ხეჩხი“, უწინდელი მთელი ქვეყნის დავიწყება და მარტო თავის კერძო სარგებლობის ძიება, უწინდელი უსინიდისობა და ნამუსზე ხელის აღება საზოგადოებას ხეირს ვერ დააყრის და საზოგადოების მხრით პატივისცემის კი არა, შეზიზღების და დევნის ღირსია. და რაკი თან და თან უფრო ხშირათ ჩნდებიან, და შემდეგში ხომ უფრო მეტათ გამოჩნდებიან, ისეთი მოვლენები და პირები, რომელთაც ახალი, პირუთვნელი და უანგარო გრძნობის ბეჭედი ასვიათ და ესმებათ, ეჭვი არ არის, რომ აწინდელს მათ ბედს უწინდელი მათი უბედობის და უძლურების მსგავსება აღარ ექნება...

÷

ამ ნაირათ შარშანდელმა წელიწადმა ძალი მოსტეხა დაფუტურებულ და დამპალ ცხოვრებას და ფრთები შეასხა მომავლის შრომას და იმედსა, დაავძლურა ხეპრული ჩვეულებების და წესის მცველები და ძალა მისცა მათ მოწინააღმდეგებს. ეს ისეთი ცხადი, ყველასთვის დასანახავი და მისათვალისწინებელი ჭეშმარიტებაა, რომ თვითონ დამარცხებულებიც კი ველარ მალავენ თავიანთ დამხობას, და თუ ხმას იღებენ — მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი თავის გასამართლებელი საბუთები წარმოადგინონ, და მცირეოდენი შენდობა ან შებრალება ითხოვონ. მაშ მადლი უთხრათ ამ წარსულს წელიწადს და ვისურვოთ, რომ შემდეგებიც იმას ჩამოგავდენ — წარსული, ვლახაკური ცხოვრების და გვამების დამხობაში და მომავლიანი ხეირიანი აზრების და მიმართულების გაძლიერებაში. და თუ ღმერთმა ქნა და ერთი ხუთი ექვსი წელიწადი გველირსა შარშანდელისავით ხვავიანი, ყოველი ჩვენის მამულის შვილს გულდამშვიდებით და შეუცდომელათ შეეძლება სთქვას — დამყარდა ჩვენში ხეირიანი საზოგადობრივი ცხოვრების მკვიდრობა, დაადგა ჩვენი საზოგადოება ხეირიანი ცხოვრების კვალსაო. ნეტავი მაშინ იმას, ვისაც გულწრფელათ და სინიდისიერათ შეეძლება იგრძნოს, რომ ამ საქმეში იმანაც თავისი შრომა ჩაურთო და ამ მიზნის მისაღწევლათ ყველა ის საშუალებები იხმარა, რომელიც მას დრომ, ნიჭმა და ცოდნამ მიანიჭა.

ნ. სკანდელი.

საჭიროთ დავინახეთ და შესაფერად ავხსნათ და დავაფასოთ მისი ამ საქმეში მოქცევა. ამას ჩვენ ეხლა მარტო ერთს დავსძინებთ: ჩვენშიაც და ყოველგან დიდი უზრდელობაა მიღებულ წიგნზე პასუხის მიუწერლობა. იქნება ჩვენი კომმისიის წევრები წერა-კითხვაში განვითარებული არ არიან? მაგრამ ნუ თუ მთელ ქუთაისში მთელმა „პარტიამ" ერთი წიგნის დამწერი ვერ იშოვენა?!

## წვრილი ამბები.

— „დროებაში" რამდენჯერმე გამოცხადებული იყო, რომ ვინც ქართულს ენაზედ კარგს დრამასა ან კომედიას წარმოადგენდა რედაქციაში, ის ამ თხზულებებისთვის, ჯეროვანი განხილვისა და დაფასების შემდეგ, ორას მანეთს ჯილდოს მიიღებდა. ეხლა კიდევ ვაცხადებთ, რომ, თუ ამ გვარი თხზულება პირველ აპრილამდის არ მოგვივიდა, ჯილდოდ დანიშნული ფული სხვა სასარგებლო საქმეზედ მოიხმარება.

— ხშირად ერთი და იმავე უხეირო პიესების წარმოდგენა ისე მოყირჭდა თფილისის საზოგადოებას, რომ ამ კვირაში რამდენჯერმე გადადევს სათამაშოდ დანიშნული სპექტაკლები. საზოგადოების გულგრილობა იქიდგანა სჩანს, რომ ერთს სპექტაკლზედ თეატრის დირექციას თვრამეტი მანეთის მეტი ვერ შეუკრებია, და მეორეზედ — მარტო შვიდი მანეთი.

— დღეს შუადღეზედ საზამთრო თეატრში კიდევ დაიწყება ქართული წარმოდგენა: უნდა ითამაშონ სცენები გ. ერისთვის კომედიის „დავიდგან" და „მზის დაბნელება", ზ. ანტონოვისა. ამას გარდა ანტრაქტის დროს უფ. სოკოლოვი, აქაური გამოჩენილი აქტიორი, კომიკურს კუპლეტებს წაიკითხავს, უფ. აკ. წერეთელი თავისს „სცენებს საპატიმროში" და კნ. ნ. წულუკიძისა იმღერებს ქართულად. იმედია, რომ ქართული საზოგადოება არ მოიკლებს ამ სპექტაკლის სიამოვნებას.

— „თფილისის წრის" ზალაში ამ დიდმარხვის პირველს ექვს კვირას, სამშაბათობით და პარასკეობით, ლექციების კითხვა იქნება სხვა და სხვა საგნებიდგან: ქიმიიდგან, მექანიკიდგან, ისტორიიდგან, პედაგოგიიდგან, ფიზიოლოგიიდგან და იურისპრუდენციიდგან. მკითხველები არიან: ბოროზდინსკი, ბოკიი, პალიბინი, ერიცოვი, სიმონოვიჩისა, სტადლინი, სკოროვი, ტრაჩევსკი, მოლჩანოვი და ღელარიუ.

## „დროების" კორრესპონდენცია

ბევრჯელ ყოფილა ქართული ლიტერატურის სიღარიბეზე ლაპარაკი; მაგრამ არსად ისე არ ჩნდება აშკარად ეს სიღარიბე, როგორც სახალხო შკოლებში.

ამ გარემოების საქვეყნოდ განცხადებით მე მსურს მივაქციო ჯეროვანი ყურადღება იმა პირთა, რომელნიც მართალია ერთგულნი არიან ხალხის განათლებისა, მაგრამ აქამდის არ ჰქონიათ შემთხვევა გაეცნოთ თითოეული დაბრკოლებანი, თითოეული მოთხოვნილებანი ამ სამნიშვნელო საქმისა. იმედი მაქვს, რომ ეს მოღვაწენი ხალხის განათლებისა თანაგრძნობით მიიღებენ ჩემს განცხადებას, ნამეტურ იმისთვის, რომ ჩემგან წარმოთქმული აზრები არიან შედეგი დაკვირვებისა და შედარებისა ქართული და სხვა ქვეყნების შკოლების ლონისძიებათა.

ამაზედ საფუძვლიანად მიპასუხებენ: შეუძლებელია შევადაროთ ქართული სახალხო შკოლა თუ გინდ რუსულსაც. მაშინ როდესაც რუსული შკოლების რიცხვი ყოველ დღე მატულობს, ქართული კი იმავე დროს ძალიან და ძალიან შემცირებულია. ამ შემთხვევაშიაც, მე ვფიქრობ, არ იქნებოდა უნაყოფო შრომა, რომ აქედანვე შევდგომილვიყავით სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნების გამოცემას სახალხო შკოლებისთვის. აქ, რასაკვირველია, ჩვენ უნდა მივაქციოთ ღირსეული ყურადღება იმ პირების აზრს, რომელთაც ესმისთ საზოგადოთ აღზრდისა და სწავლების საგანი, რომელნიც გაცნობილნი არიან თავის ხალხის ზნეობითს მდგომარეობასთან, და უკანასკნელათ იმათ სიტყვას, ვინც შკოლებში დაკვირვებით და გამოცდილებით იცის ეს საქმე.

ყველა დამერწმუნება, რომ კითხვას მხოლოდ მაშინ აქვს სასარგებლო და გამწვრთვნელი ხასიათი, როდესაც ყმაწვილს ესმის წანაკითხი. პირველად მე მივაღწიე ამ მიზნამდის, როდესაც გოგებაშვილის „ანბანს" და „საკითხავ წიგნს" ვაკითხებდი შაგირდებს. ყმაწვილებს მშვენივრად ესმოდათ წანაკითხი და ის პატარა მოთხრობები და ამბები, რომელნიც აქ სწერიან დაბეჭდათ ასიამოვნებდათ იმათ. მაგრამ როგორც ყველაფერსა აქვს ბოლო, ეგრეთვე მოვიდა დასასრული ამ პატარა წიგნისა. ყმაწვილებმა თითქმის ზეპირათ ისწავლეს ეს ორმოც ფურცლიანი წიგნები და შემდეგ იმათთვის აღარ წარმოადგენდა არა ვითარს საინტერესო საგანს ამ მოძულებული ამბების კითხვა. ბავშვის გულისყური, ცნობის მოყვარეობა მოსწყინდა, და დაღალდა ერთნაირი გართობითა.

რა გაეწყობა ამ ნაირ შემთხვევაში? საიდამ იშოვნოს კაცმა ახალი საინტერესო წიგნები?

კიდევაც რომ კარგ მდგომარეობაში იყოს შკოლა მატერიალური მხრით, მაინც ვერ დააკმაყოფილებთ მის მოთხოვნილებას, ამიტომ რომ სრულიად არ იპოვება ყმაწვილებისთვის გამოსადეგი წიგნები.

ორ ნაირად შეიძლება დაეხმაროს კაცმა გაჭირვებულ მდგომარეობას: ერთი ორიგინალური წიგნების წერითა, და მეორე თარგმნითა სხვა და სხვა ენებიდამ; მაგრამ ჩვენ ყოველთვის პირველ საშუალებას ვარჩევდით, აი რისთვის: პირველ შემთხვევაში ყმაწვილები მონაწილეობას იღებენ იმ ამბებში, რომელზედაც არის ლაპარაკი წიგნში, იმისთვის რომ იქ მათი ცხოვრებიდამ მათი მუდამი მწუხარებისა და მხიარულების სცენები არიან გამოყვანილი. აქ, ყველაფერი ნაცნობი და ნანახია. და ამასთან ენაც უფრო მშვენიერი და ბუნებითი იქნება ორიგინალურ მწერლობაში, ცხადია.

მეორე შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ყმაწვილები კითხულობენ ნათარგმნს, მაშინ ისინი შედიან რაღაც უცნობელ და ბნელ მათთვის ცხოვრებაში. იქ მათ გულსა და თვალს არა აღვიძებს რა, იქ სულ სხვა ხასიათზე, ჩვეულებაზედ, რწმუნებაზედაა ლაპარაკი, და ეს მათთვის მწარე ბოლოკის ჭამის მზგავსია სწორეთ.

ჩავარდნილი ასეთ უსაშუალო მდგომარეობაში, მე იძულებული ვიყავი მეთარგმნა პირით ზოგიერთი წიგნები, რომ რა არი ტყუილად დრო არ დამეკარგა.

ეხლა ვიკითხავთ რა ამისთანა გაჭირვებაა, რომ იმისი დაკმაყოფილება ჩვენ არ შეგვეძლოს? მადლობა ღმერთს, დიდი სწავლა და განათლება არაა საჭირო, რომ საბავშვო წიგნები, თუ არ დასწეროს კაცმა გადმოთარგმნოს მაინცა. მასალაზედ ხომ არ იქნება ნაკლებობა. ვგონებ არც მშრომელებზედ უნდა იქნეს სიმცირე! რა ვიცი, ასი და ორასი ყმაწვილი კაცი — თუ მეტი არა — ხომ მაინც მოინახება, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ და შეეძლოთ ეს საქმე ეკისრათ. რას უცდიან ისინი?

არა, ერთი ეს მიბრძანეთ: რა საჭირო ხალხს წერა-კითხვა ასწავლოთ, თუ საკითხავი წიგნები არ ექნება იმას?

ქალი მასწავლებელი.

## წიგნი რედაქტორთან.

დროების 402 №-ში იყო დაბეჭდილი სტატია მ. ა. ა—სა, რომლის შესახებ არ შემიძლია არ წარმოვსთქვა რამოდენიმე სიტყვა,

მ. ა. ა. ამბობს, რომა სოფლელნი მღვდლები ძრიელ ცუდ მდგომარეობაში არიან სიღარიბის მიზეზითაო და დასამტკიცებლად ამისა ის გვიხატავს მღვდლის ვითომ შემოსავალს, — რომელიც, პატიოსანი მ—ის სიტყვებით, თუმც ესწორება 43 მ. 34 კ დიდ შემოსავალათ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სოფლელი მღვდლების უმეტესი ნაწილი ბევრათ ნაკლებს უნდა დასჯერდეს, მინამ 43 მ. 34 კ. — რამოდენათ მართალნი არიან ეს სიტყვები, მკითხველსაც კარგათ ეცოდინება და ჩემის მხრით მეტი იქნება დამტკიცება იმისა, რომ პატიოსან მ—ს ბევრი ტყუილების ლაპარაკი სცოდნია, თუმცა განათლებაზე კი ლაპარაკობს.

მე, რასაკვირველია, სრულებითაც არ ვამტკიცებ იმას, ვითომც სოფლელნი მღვდლები მდიდრები და გალაღებულნი იყვნენ, მაგრამ ამ მხრით ბედნიერნი ჩვენში ძრიელ ცოტანი არიან, ვგონებ, საზოგადოთ სხვებიც და სწორეთ მეტი იყო პატიოსანის მხრით ლაპარაკი, რომ მღვდლები ღარიბები არიანო!

ნეტავი ვიცოდე, რით ხელმძღვანელობს პატიოსანი მ—ლი, რომ აგრე ჰყოფს მღვდლებს სხვა პირებიდგან! განა მღვდლებს შუა და სხვა პირებს შუა დიდი განსხვავება არის იმაზე მეტი, რომ მღვდელს ანაფორა აცვია და სხვას კი ჩოხა?! განა, კიდეც რო დავთანხმდეთ იმაზე, რომ მღვდლებს შემოსავალი 44 მანეთამდე აქვს, უფრო გაჭირვებულნი იქნებიან სხვებზე, თუ გინდა კარგ აზნაურზე?! განა იმას, ე. ი. მღვდელს, არ შეუძლია იმუშაოს, როგორც მისი მეზობლები მუშაობენ?!

აბა ერთი ვნახოთ, რას მიპასუხებს ამ კითხვებზე პატიოსანი მ—ლი.

ბოლოს მ. ა. ა. ამბობს: „ნეტავი ვიცოდე, თუ არის ისეთი კანონი, რომელიც მღვდელს სხვა სამსახურში გადასვლის ნებას აძლევდესო!" ამაზე ერთი კითხვა კიდევ მივცეთ მამა მ—ლს: ძალათი ხომ არავის უკურთხებია ისინი?! მაგრამ იქნება იმას თავისი უკანასკნელი სიტყვებით სხვა რაიმე უნდოდა ეთქვა ე. ი.: „როდესაც ჩვენ მღვდლებათ მივდიოდით მაშინ უფრო ადვილი იყო გლეხების გატყავება და ეხლა აგრე აღარ არის: გლეხები ცოტათი ჭკვიანები შეიქნენ და ეხლა წინანდელივით ველარ ვატყავებთო." ბუნებაში კი, მე დარწმუნებული ვარ, შემდეგს იტყვის: „ჯერ კიდევ არა უშავს! თუ წინანდელის ოდენას ველარ ვართმევთ გლეხებს, მაგრამ ჯერ მაინც საკმაო არის! და თუმცა მე აგრე ვსწერ ქვეყნის გასაგონათ, ეგ მიტომ, რომ კიდევ უფრო არ მოგვაკლონ; თორემ ჯერ კიდევ ეგრე ნუ წაახდინოს ღმერთმა მღვდელი, რომ იმაზე მეტი [illegible] აილოს, რაც ჯამში გამოეყენოს."

ი. ხუცის-შვილი.

15 იანვარს 1874.

# რუსეთი

— გაზეთები აცხადებენ: ხმა დავარდა, რომ რუსეთში ყოველს უეზდში სახალხო შკოლების ინსპეკტორები უნდა დაინიშნონო. საშკოლო რჩევაში თავსმჯდომარეობა თავად-აზნაურების წინამძღოლებს მიეცემათო და რჩევის წევრებად სხვათა შორის ადგილობრივი მღვდლებიც იქნებიანო. ეჭვი არ არის, რომ ხეირიანი ინსპეკტორების დანიშნვა დიდი სასარგებლო იქნება.

-- ყველამ იცის, რომ ჩვენი რეალური შკოლები გაკეთებულია პრუსიული პირველხარისხის რეალური შკოლების გვარად. ჩვენებურ რეალურ შკოლებში და გიმნაზიებში კურს-გათავებულები მარტო სპეციალურ სასწავლებლებში თუ მიიღებიან, თორემ უნივერსიტეტებში და მედიკურ აკადემიაში არა. ეხლა, როცა ჩვენში რეალური შკოლები ფუძნდება, პრუსიაში თურმე რეალური შკოლების გიმნაზიებად გადაკეთებას აპირებს მმართებლობა, იმ პირობით, რომ ამ რეალურ გიმნაზიებში კურს-გათავებულებს უნივერსიტეტებში შესვლის უფლებაც ექმნესთ. — ცუდი არ იქნება, რომ ჩვენ ყურადღებას მივაქცევდეთ, თუ რა საფუძველი აქვს ამ გვარს განზრახვას. ეს ჩვენთვის გამოსადეგი იქნება.

რუსული გაზეთები ხელმწიფის ასულის და ედინბურღის თავადის ქორწილის ამბებითაა სავსე. მართლა რომ ჩინებული რამე ყოფილა, როგორც სწერენ რუსული გაზეთები. მშვენიერი ცერემონიები ქორწინებისა, ძვირფასი თვალითა და მარგალიტით გაჭედილი ტანთ-საცმელი მეფე დედოფლისა, მასპინძლობა უხვი და სხ. და სხ. ამბობენ, განსაკუთრებით მზითევმა გააკვირვა თურმე ინგლისელები და სიამაყე აგრძნობია რუსებს, როდესაც გამოაფინეს სამზითვო ძვირფასი ნივთები.

ერთ ინგლისურ გაზეთში კიდევაც ხატავს თავის შთაბეჭდილებას კორრესპონდენტი; ის ამბობს: „ჭეშმარიტად, როდესაც ვხედავ ამდენს ჩინებულს ფას დაუდებელს განძს, ამდენს ვერცხლსა და ოქროს, ამდენს თვალმარგალიტს, ამისთანა ფაქიზს კაბებს, მოსასხამებს, საპერანგე ტილოებს, მაშინ განცვიფრებაში მოვდივარ."

გასაოცარი შიმშილობა კი ჰყოფილა ამ სამარაში. აგერ რამდენი ხანია, ყოველ მხარიდამ მოსდის მათ შესაწევარი, მაგრამ შენც არ მომიკვდე არ იქნა და არ იქნა მათი მოპირვა. სახუმროთ აღარ ჰყოფილა მცხოვრებლების გაჭირვება, თუ კი დღესაც კიდევ შიმშილობაა იქა.

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი

ყოველი საქმე, ყოველი დაწესებულება, ყოველი პირი, როდესაც ის ჭეშმარიტს და პირდაპირს საფუძველზედ არ არის დამყარებული, არ შეიძლება, რომ საკიცხავი არ გახდეს და არ დაეცეს.

ექვსი წლის წინეთ ინგლისის საზოგადოებამ უ. გლადსტონი ისეთ პოლიტიკურ კაცათ დაინახა, რომ პარლამენტში უმრავლესობა რიცხვითა მის პარტიას მიანიჭა. გლადსტონს შეეძლო, თუ კი რომ ნამდვილი დემოკრატი იყო, თავის პარტიისა და რადიკალების შეწევნით არ მიეცა დღეს გამარჯვება მისი ნიადაგ მოწინააღმდეგე კონსერვატორის დიზრაელისთვის.

ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისმა დაუნდობლობა გამოუცხადა უ. მინისტერთ პრეზიდენტს გლადსტონს. ეს იმავე პოლიტიკის და თითქმის უმნიშვნელო ზომების ბრალია რომელმანც თავდაღმა დასცა პატარა ტიერი. როგორც გლასტონს, ისე ამ დიპლომატსაც სურდა, შეეთანხმებია ფრანცუზები ზოგიერთ იმისთანა კითხვებში, სადაც ბეჯითი და მკაცრი გადაწყვეტილება და მოქმედება იყო საჭირო.

მართალია, გლადსტონმა ბევრი რამე ცვლილებები მოახდინა ინგლისის ცხოვრებაში: მის დროს იყო ცნობილი, რომ ირლანდიაში პროტესტანტის ეკკლესია და სახელმწიფო განყოფილი იქნეს, მოახდინა ცოტა რამ ცვლილება მიწის მეპატრონეთათვის, შემოიღო საიდუმლო კენჭის ყრა პარლამენტის ამორჩევის დროს, ცოტათი ჯარის წყობილებასაც შეეხო, მოსპო უფლება აფიცრის ჩინის ყიდვისა და სხვ. მაგრამ ესენი მაინც ვერ აკმაყოფილებდა მილიონებს, რომელთაც არა აქვსთ, ჯერ კიდევ, ხმა პარლამენტის ამორჩევის დროს, ვერ აკმაყოფილებდნენ იმათაც, ვისის შრომით ლორდები და კაპიტალისტები მილიონებსა იკრებენ თავის ჯიბეში, და ვინც სულ ნიად გაჭირვებულს მდგომარეობაშია.

## წერილები პარიჟიდგან

პარიჟი, 21 იანვარს 1874 წ.

ეს გასული კვირა გაცხარებული ბაასისა და დაუზოგველად ფარ-ხმლის შეჯახების კვირა იყო ფრანცუზებისთვის. რვა დღის განმავლობაში ვერსალის ნაციონალურ კრებაში მარტო მერების დანიშვნის თაობაზე იყო მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების დროს ცხადათ აღმოჩნდა ერთის მხრით ეხლანდელი საფრანგეთის მმართებლობის უნიჭობა, უთაობა და გონებითი სისუსტე, და მეორეს მხრით რესპუბლიკელების სიმტკიცე და მამულისა და თავისუფლების მოყვარეობა. რამდენი მწარე სიტყვები, რამდენი უმოწყალო მათრახის გადაკვრა ერგო რესპუბლიკელებისაგან ეხლანდელი მმართებლობის წარმომადგენელს უფ. ბროჰლის! რამდენი სასირცხო და გასაკიცხავი განზრახვა გამოააშკარავეს იმათი ამ სხდომების განმავლობაში.

ვისაც ტვინი და რისიმე გაგება აქვს, უეჭველია, ლუი-ბლანის, კრისტოფლის, ფერეს, პრესანსეს და სხვა რესპუბლიკელების სიტყვების შემდგომ, უნდა დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ახალი მერების დანიშვნის კანონი, სიკეთის ნაცვლად, მხოლოდ ვნებას მოუტანს როგორც ხალხს, აგრეთვე იმის მმართებლობასაც. მაგრამ განა ეხლანდელი კრების უმრავლესობას ლოღიკა და რომელიმე საგნის ნათლად გაგება მოეთხოვება?

×

ამ ნაირად, გუშინდამ, ნაციონალურმა კრებამ მიიღო და დაამტკიცა შემდეგი სამი მუხლი ახალი კანონისა, მერების დანიშვნის თაობაზე:

„1 მუხლი. ახალი მუნიციპალური კანონების დამტკიცებამდი, მერები და იმის თანა-შემწეები დეპარტამენტების დიდ ქალაქებში და კანტონებში დაინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან; და დანარჩენ კომუნებში (საზოგადოებებში) პრეფექტისაგან (ღუბერნატორისაგან.)“

„2 მუხლი. მმართებლობას (რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრეფექტს) შეუძლია დანიშნოს მერად და იმის თანა-შემწედ რომელიმე პირი როგორც თვითონ მუნიციპალური რჩევიდამ, აგრეთვე გარეშე პირიც; მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს საქმე მინისტრების რჩევამ უნდა გადაწყვიტოს.“

„3 მუხლი. ყველა საზოგადოებებში, სადაც პოლიციის დანიშვნა 24 ივლისის 1867 წლის ან სხვა განსაკუთრებული კანონებით არ არის განსაზღრული, მერს აქვს უფლება დანიშნოს პოლიციის ინსპექტორი და აგენტები. მხოლოთ ეს დანიშვნა პრეფექტისაგან უნდა იყოს დამტკიცებული.“

მერს შეუძლია მხოლოთ, რომ დროებით გარდააყენოს სამსახურიდამ პოლიციის მოხელე. სამუდამოთ იმის გადაყენება შეუძლია მხოლოთ პრეფექტს.“

×

ამ უხეირო კანონის მიღების გარდა, გუშინდამდელი სხდომა ნაციონალური კრებისა შესანიშნავი იყო კიდევ იმით, რომ ამ სხდომაზე საფრანგეთის გარეშე საქმეების მინისტრმა, უფ. დეკაზმა, შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა, იტალიასთან დამოკიდებულების თაობაზე.

თქვენ იცით, რომ ნეტარ-ხსენებულ ნაპოლეონ III-ს ექვსი თუ რვა ათასი კაცი და სამხედრო ხომალდი „ორენოკო“ ჰყვანდა ჩივიტტა-ვეკკიაში, ვითომ იმისთვის, რომ რომის პაპა დაეცვა ისეთი დაუდეგარი ხალხისაგან, როგორც გარიბალდი, მაძძინი და საზოგადოთ იტალიის პატრიოტებისაგან, რომელნიც ამ წმინდა მამას წმინდა რომიდამ გაგდებას ემუქრებოდნენ; ეს მხოლოთ გარეგანი მიზეზი იყო; უფრო ნამდვილი მიზეზი, რასაკვირველია ის იყო, რომ ამ ოინობით ნაპოლეონს საფრანგეთის კლერიკალების გულის მოგება უნდოდა. როდესაც გერმანიასთან ომიანობა ატყდა, ნაპოლეონმა კარგი მიზეზი იშოვნა და მომეტებული ნაწილი ჩივიტტა-ვეკიის ჯარისა წამოიყვანა. დღეს, თუმცა გარემოება სულ გამოიცვალა, თუმცა გარიბალდის და იტალიის პატრიოტების სურვილი შესრულდა, და რომი შეერთებული იტალიის სატახტო ქალაქად გადიქცა და პაპას ხელმწიფობა ჩამოერთვა; მაგრამ საფრანგენთის ჯარი და სამხედრო ხომალდი „ორენოკო“ კიდევ ჩივიტტა-ვეკკიის წყლებიდამ არ გამოდის და თვალჩხირივით აწუხებს იტალიას.

×

ამ უკანასკნელ დღეებში აქ გავარდა ხმა, რომ ვითომ იტალიის მთავრობას საფრანგეთისაგან მოეთხოვოს, რომ ეს ხომალდი და ჯარი მოგვაშორეთ თავიდამაო, ვითომ საფრანგეთის მთავრობა არ დათანხმებულიყოს ამაზე და საქმე ისეთს მდგომარეობაშიაო, რომ შეიძლება იტალიასთან ომი ატყდესო და სხ. ამ ხმამ ისეთ ნაირათ დააფრთხო აქაური ბირჟა, რომ აქციებს და სხვა ფასიან ქაღალდებს ფასი მოაკლდათ.

გუშინდამ გარეშე საქმეების მინისტრმა პირ-და-პირ გამოაცხადა ნაციონალურ კრებაში, რომ „იტალიასა და ჩვენს შუა არავითარი უკმაყოფილება და უთანხმოება არ არისო, რომ ის ხმები, რომელიც ამ უკანასკნელ დროს გავარდა პარიჟში, სრულებით უსაფუძვლო და ტყუილი ხმები არისო“. რაც შეეხება საზოგადოთ ჩვენს გარეშე პოლიტიკასო, განაგრძო გარეშე საქმეების მინისტრმა, გულწრფელად ვაცხადებ, რომ ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა! ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა ამიტომ რომ ჩვენის აზრით მშვიდობიანობა აუცილებლად საჭიროა საფრანგეთის ამაღლებისა და კეთილ-დღეობისათვის, ამიტომ რომ მთელ ხალხს ჰსურს მშვიდობიანობა!“ თავის სიტყვის დასასრულს უფ. დეკაზმა კარგა ლაზათიანათ გადაჰკრა საფრანგეთის კლერიკალებს, რომელნიც იმდენათ უგნურნი და დაბრმავებულნი არიან, და თხოულობენ, რომ საფრანგეთი უთუოდ უნდა მოეხმაროს რომის პაპას თავის დაკარგული ხელმწიფობის და წართმეული რომის ტახტის აღდგენაშიო. იმან სთქვა: „ზოგიერთები გვიმტკიცებენ, რომ იტალიის საქმეებში მონაწილეობის მიუღებლობით ჩვენ საფრანგეთის სახელსა და პატივისცემას ვამტკიცებთ. ტყუილია! საფრანგეთის სახელსა და პატივისცემას მხოლოთ თავხედური პოლიტიკა დაამცირებს, ის პოლიტიკა, რომლის შედეგი ჩვენი დასუსტება იქნება.“

×

საქმე ჯერ ჯერობით ამით გათავდა. უფრო დაწვრილებით აზრებს ეხლანდელი საფრანგეთის მმართებლობისაგან, გარეშე საქმეების შესახებ, უნდა მოველოდეთ მაშინ, როცა კლერიკალური დეპუტატი, ღენერალი დჰუტამპლი, კითხვას მისცემს მმართებლობას იტალიასთან დამოკიდებულებაზე.

×

გეხსომებათ, რომ, როდესაც ამ წლის საფრანგეთის შემოსავალ-გასავალზე (ბიუჯეტზე) იყო მოლაპარაკება, ერთი გაცხარებული ბაასი ჩამოვარდა იმის თაობაზე, თუ რამდენი უნდა დაუნიშნოთ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამ ზამთარში ბალების გასამართავათო. ძალიან იმედი აქვთ ამ ბალისა, ზოგიერთი კონსერვატორული დეპუტატები იქამდი მივიდნენ თავიანთ გონების გამჭრიახობაში, რომ ამტკიცებდნენ, ეს ბალები გააცოცხლებს და აღადგენს ჩვენ დაცემულ ვაჭრობას და წარმოებასაო. ამ გარდაუვალი ლოღიკის ძალით, გარდაწყვიტეს, რომ პრეზიდენტს რამდენიმე ბალის გასამართავად 130,000 ფრანკი უნდა მიეცესო. ერთი ბალი კიდეც იყო; რასაკვირველია, რაც აღმატებული პირებია პარიჟში: მინისტრები ვარო, თუ ელჩები, დეპუტატები (მარტო კონსერვატორული), სამხედრო და სამოქალაქო პირები და სხ. საკმაოთ დაესწრნენ. მაგრამ გასაკვირველი ეს არის, რომ პარიჟის ვაჭრობას და წარმოებას ამით არაფერი არ დაეტყო! ზოგიერთ გაზეთებში იყო გამოცხადებული, რომ უფ. ბროჰლსა (ეხლანდელი სამინისტროს თავსმჯდომარე) ამ ბალზე საპატიო ლეგიონის (ორდენის) ფართო ლენტი ჰქონდა მხარზე გადაკიდებულიო და უკვირდათ, რადგან უფ. ბროჰლის ეს ორდენი არა აქვს. მაგრამ ბოლოს ამოჩნდა, რომ ეს ლენტი ერთი ბელგიის ორდენის ლენტი ყოფილა და არა საპატიო ლეგიონისა. ერთი რესპუბლიკური გაზეთი ამბობს ამის თაობაზე, რომ „სულ ერთია, თავისუფლების დასახრჩობელად ყველა ლენტები (თოკები) გამოსადეგიაო!“

პარიჟი, 27 იანვარს 1874 წ.

იმ გაცხარებული მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც მერების დანიშვნის კანონზე ატყდა ნაციონალურ კრებაში, ყველას ეგონა, რომ, ჩვეულებისაებრ, ეხლა უფრო წყნარი და მშვიდობიანი სხდომები დაიწყობოდა. მაგრამ მეორე დღესვე ისეთს საგანზედ ჩამოვარდა კრებაში მოლაპარაკება, რომელზედაც ფრანცუზებს გულგრილად სჯა თითქმის არ შეუძლიანთ. ეს საგანი ბეჭდვის მდგომარეობაა.

×

რესპუბლიკელმა დეპუტატმა — რიკარმა — წარმოსთქვა მშვენიერი, — მჭევრმეტყველური და ცხარე სიტყვა იმ გაზეთების შევიწროებულ მდგომარეობაზე, რომელნიც სამხედრო კანონის ქვეშ მყოფ დეპარტამენტში გამოდიან. იმან მოიყვანა რამდენიმე მაგალითი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბევრი პროვინციალური გაზეთები, სულ უბრალოთ, სრულებით ყურადღებაში მიუღებელი მიზეზის გამო და უკანონოთ აღუკრძალავთ პრეფექტებს; მოიყვანა ეხლანდელი მმართებლობის პირველი პირის — ბროჰლისა და აგრეთვე ბარანტონის სიტყვები, რომელიც იმათ ამ ერთი-ორი წლის წინათ წარმოეთქვათ და რომელშიაც ეს ბეჭდვის ეხლანდელი დამტუქსველები მაღლათ ჰყვიროდნენ, რომ სტამბის თავისუფლება პირველ და აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველ ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვისო; რადგან ძველ კანონებს ეხლა ძალა აღარა აქვთ და ახალი არ არის, ამისგამო დეპარტამენტის გაზეთებმა არ იციან, რა და როგორ უნდა სწერონო; ყოველ უბრალო სტატიისთვის, რომელიც პრეფექტს (ღუბერნატორს) არ მოეწონება, ის თავის გაზეთის დროებით მოსპობას, ჯარიმის გადახდას ან სულ დახურვას მოელისო. მოგვეცით ბეჭდვის კანონი და თუნდ ლიკურგის კანონებზე უფრო სასტიკიც იყოს, პრეფექტის ხელში ყოფნას ის გვირჩევნიაო დაიყვირა რიკარმა.

×

მაგრამ რესპუბლიკელების მოთხოვნილებას ეხლანდელი ვერსალის ნაციონალური კრების უმრავლესობა, აბა, რა ყურადღებას მიაქცევს! კბილებ-ჩამტვრეული ბარანტონის უაზრო სიტყვის შემდეგ, იმან გადაწყვიტა, რომ კრება ამ საგანზე მოლაპარაკებას სწყვეტსო.

+

ამ საგანზე უფრო დაწვრილებითი მოლაპარაკება ატყდება მაშინ, როდესაც მმართებლობა წარადგენს ახალს კანონებს ბეჭდვის თაობაზე, რომელსაც ის ეხლა ამზადებს და რომლითაც, როგორც ამბობენ, იმნაირსავე შევიწროებულ მდგომარეობაში ჩააყენებს საფრანგეთის სტამბას, როგორც ნაპოლეონის დროს იყო. მაგრამ რაც უნდა შეავიწროვოს ეხლანდელმა მმართებლობამ სტამბა, ეს კი ცხადია, რომ ის საფრანგეთის გაზეთ-ჟურნალები ზოგიერთი სახელმწიფოების გაზეთ-ჟურნალებზე მაინც ყოველთვის უფრო თავისუფალნი, დამოუკიდებელნი და ენა-ახსნილი იქნებიან...

+

გუშინწინდელ „ოფიციალურ გაზეთში“ დაბეჭდილია შინაგანი მინისტრის ცირკულიარი პრეფექტებთან, რომელშიაც უფ. ბროჰლი აღიარებს იმას, რისიც თქმა ნაციონალურ კრებაში ვერ გაბედა: ის ამბობს, რომ „ნაციონალურმა კრებამ შვიდი წლით მიანდო მარშალ მაკ-მაჰონს რესპუბლიკის პრეზიდენტობაო და როგორც მმართებლობის, ისე ყოველ მოქალაქის ვალდებულებაა, რომ ეს უფლება დაიცვასო.“ ამ განცხადებამ საშინლად გააბრაზა შამბორის მომხრე კლერიკალური გაზეთები („L'Univers“, „le Monde“), რომელთაც დღემდისაც იმედი აქვთ, რომ რესპუბლიკა ბევრი-ბევრი სამ-ოთხ თვეს თუ გასძლებსო და შემდეგ შამბორის მონარხია დაფუძნდებაო.

მაგრამ მთელი რესპუბლიკელი პარტია კი, რომელიც საფრანგეთში უმრავლესობას შეადგენს, დარწმუნებულია, რომ რამდენიც უნდა ეცადნენ მონარხიელები და კლე-

როკ·ლები. რესპუბლიკას ეხლა ვერ რა შე-არყევს რა.

„თქვენ შეგიძლიათ, ეუბნება მმართებლობას ედ. ლოკრუა (Rappel-ში), რაც შეავიწროებელი, რაც ხალხის დამაზიანებელი კანონებია, ყველა შემოიტანოთ, სანამ თქვენ ხართ ჩვენი ბატონებიო; თქვენ შეგიძლიათ ყველა მონარხიული წესები შემოიტანოთ საფრანგეთშიო და რესპუბლიკელი სდევნოთო, ბეჭდვის, ამორჩევის და სხვა ყოველგვარი თავისუფლება შეავიწროვოთო; მაგრამ ერთს ვერ მოახერხებთ და ვერ გაბედავთო: საფრანგეთში რესპუბლიკის მოსპობასაო!“

×

გაზეთები მოგვიტანდათ, რასაკვირველია, იმ ამბავს, რომ კართაგენის აჯანყებულები დაემორჩილა ესპანიის მმართებლობას. ინგლისურს გაზეთში (Times-ში) დაბეჭდილია ის პირობა, რომელიც მმართებლობის ჯარის უფროსს—ლოპეც დომინგეცს—შეუკრავს კართაგენში დაწყვდეულ აჯანყებულებთან. მოვიყვან ამ პირობიდამ რამდენსამე მუხლს.

ყველა აჯანყებულებს საზოგადო პატიობა. სამართალში მიეცემიან და დაისჯებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც რაიმე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაუდენიათ. აჯანყებულ ჯარში მყოფ აფიცრებს ჩინი არ ჩამოერთმევათ.

— არც სიცოცხლეს, არც სახლ-კარს და არც საზოგადოთ ქონებას აჯანყებულებისას არავითარი განსაცდელი არ მიადგება. მმართებლობას უნდა დაეთმოს მხოლოთ აჯანყებულების არსენალი (თოფ-იარაღისა და წამლის შესანახი ადგილი) და ხომალდები და სხვ. და სხვ.

შეადარეთ ეს მოქმედება იმ საქმესთან, რომელიც ჩაიდინა ტიერის მმართებლობამ 1871 წელს, როდესაც პარიჟის კომუნა დაიმორჩილა, და მაშინ ნახავთ—რა განსხვავებაა! ესპანიის მმართებლობა თითქმის სრულიად აპატიებს თავის აჯანყებულებს და ტიერმა კი რამდენი ათასი, რამდენი ათი ათასი კაცი დახვრიტა, მოკლა და ახალ კალედონიაში გაგზავნა ამგვარივე დანაშაულისათვის!....

კართაგენი კი დაიმორჩილეს, მაგრამ ესპანიის დამშვიდებას ჯერ მაინც ბევრი უკლია. როგორც იქაური გაზეთებიდამ სჩანს, კარლისტები თან და თან ძლიერდებიან და ხან ერთ ქალაქს იმორჩილებენ და ხან მეორეს....

+

ყოველ წლის დამდეგს პარიჟს ცოტა არ იყოს აქაურ სამეცნიერო აკადემიაში (l' Institu de France) ახალი წევრების*) მიღება ალელვებს. ჩვეულებათ არის მიღებული, რომ ახალმა წევრმა უთუოდ იმ მიცვალებულ წევრზე, რომლის ადგილსაც თვითონვე იჭერს, საქები სიტყვები უნდა წარმოსთქვას და ამას გარდა თვითონ ამ ახალს წევრს ერთმა აკადემიკოსმა პასუხი უნდა უთხრას. ამ „მიღებაზე“ ძალიან ბევრი ხალხი აწუდება ხოლმე ინსტიტუტს. ამის წინათ ლომენი მიიღეს წევრათ. წასულ ხუთშაბათს იყო სან-რენე-ტალანდიეს მიღება, რომელზედაც, სხვათა შორის, თქვენი მორჩილი მონაც დაესწრო. მაგრამ, ღმერთმანი, ვერ გამიგია: რისთვის იტეხენ ასე თავს (განსაკუთრებით ქალები), რომ მაინცა და მაინც დაესწრონ ამ უაზრო ცერემონიას! ერთი ჩახჩუებული „უკვდავი მომკვდარა“, მეორე „მომაკვდავი უკვდავათ“ ხდება და ამისთვის მიცვალებულს აქებს და მესამე ახლად ამოჩეკილ უკვდავს პასუხს ეუბნება!—აი, სულ ეს არის!

მომავალ ხუთშაბათს—სამი წევრის ამორჩევა იქნება. კანდიდატებათ, სხვათა შორის, არიან: ა. დუმა (შვილი), ტენი, შარლ-ბლანი და სხ!

×

უკვდაობამ სიკვდილი მამაგონა: იქნება არ გაგიგიათ, რომ სიამის „ტყუპები“ მიიცვალენ ამერიკაში! ეს ორი ძმა ხუთმეტ წლამდი მუცლით იყვნენ ერთმანეთზე მიკრულნი, ასე რომ მუდამ პირში შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე ცოტათი პირი იბრუნეს და გვერდზე მიეკრნენ. სანამ ცოლებს არ შეირთავდნენ, კარგა, ძმურათ და თანხმობით ცხოვრებდნენ თურმე ერთმანეთში; მაგრამ, შეირთეს თუ არა ცოლები, იმწამსვე ერთი აყალ-მაყალი, შური და იჭვიანობა გაუჩნდათ. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ორი ცალ-ცალკე სადგომი უნდა ჰქონოდათ და ერთ კვირას ერთს სადგომში უნდა ყოფილიყვნენ და მეორე კვირას მეორეში. ამნაირათ მოთავსდნენ. ამათ კარგი ოჯახი დარჩათ; ერთს ექვსი ქალი დარჩა და სამი ვაჟი, მეორეს ექვსი ვაჟი და სამი ქალი, ორჯერ იყვნენ ევროპაში და თავის ჩვენებით კარგა ძალი ფული მოაგროვეს. სამოცდა ორი წლის იყვნენ, რომ დაიხოცნენ; ჯერ ერთი ძმა მომკვდარა და ორი საათის შემდეგ მეორეც უკან გაჰყოლია!...

ს. მესხი.

*) ამ წევრებს „უკვდავებს“ ეძახიან იმ აზრით, რომ ვითომც ამათი სამეცნიერო შრომა უკვდავი იყოს კაცობრიობისათვის.

# ნარევი

ახალი ვიქტორ ჰიუგოს რომანი „93 წელი“, როგორც სწერენ პარიჟელ გაზეთებში, გამოვა 19 თებერვალს. თურმე გასაოცარ ბევრ ეკზემპლიარებს ბეჭდვენ, რადგანც ჰიუგო ხალხის უსაყვარლესი და თან უნიჭიერესი პოეტია. გამოვა თუ არა პარიჟში ეს რომანი, იმ დღესვე ცხრა სხვა და სხვა ენებზედ გადათარგმნილი კორრეკტურის ფურცლებიდამ დაიბეჭდება: ინგლისურს იტალიანურს, ესპანიურს, რუსულს, პოლშურს, ვენგრიულს, ჩეხურს და ჰოლლანდიურს. მარტო ნემეცურია გამოტოვებული, რომელზედაც თარგმანი არ გამოვა.

ეს რომანი დიდი რევოლუციის უფრო გახურებული და საშინელი დროიდამაა. ჩვენ თავის დროზედ, რამდენათ ეს შესაძლებელი იქნება სხვა და სხვა გარემოების გამო, გავაცნობთ მკითხველს ამ შესანიშნავი კაცის შესანიშნავ თხზულებას.

---

ტიჩბორნის პროცესსი ახალს მთვარეში გადასულაო, რომ იტყვიან, ეს არი. მსაჯულებს გამოუცხადებიათ: რადგანც ადვოკატმა თავისი გასამართლებული სიტყვა დაასრულა (ეს სიტყვა ას სამოცდა რვა დღეს ულაპარაკნია ამ ოჯახქორს) ცოტაღა დაგვრჩაო, ე. ი. ერთი ან ორი მაგდენი დროო. აგაშენოს ღმერთმა! ადვოკატსაც კაი ენა ჰქონია, და მსაჯულებსაც კაი მოთმინება.

თუ სცხონდება ვინმე, სწორეთ ეს მსაჯულები თავის მოთმინებისთვის.

საიმედოა, რომ ჩვენი ადვოკატებიც ისარგებლებენ ამ მაგალითით. მაგრამ რა, ისინი სარგებლითაც კი სარგებლობენ.

ჰო!.. სახარების სიტყვისაებრ იქცევიან: არ ინახვენ უსარგებლოთ ტალანტს, აკი დამავიწყდა!

---

ძლიერსლა არ უპოვნია ჭკუა მონარხიული გაზეთის (მონდის) პარტიას! „ჩვენ მონარხია გვსურს უმეფოდ და კათოლიკობა უპაპოთო“.

---

რუსული გაზეთი-„ს. პეტერბურგის უწყება“ მადლობს პეტერბურგის გუბერნიის მარშალს, აი რისთვის: „წინეთო—ამბობს ეს გაზეთი—მარტო საზღვარ გარეთელ ლიტერატორებს ჰქონდა ბედნიერება, ჰყოფილიყვნენ მიწვეული სათავად-აზნაურო ბალში. ეხლა ჩვენც მიგვწოდეს. ამ პატივისცემისთვის დიდს მადლობას შევწირავთ უ. მარშალსო.“

ცოდვა არ იყო ამდენი ხანი „ს. პეტერბურგის უწყების!“ ტანჯვა და მწუხარება? ვინ იცის, საბრალო რამდენ ცრემლსა ღვრიდა ამ დაპატიჟ ბამდი! კია, შე ნუ მომიკვდე, სასიხარულო, რას ბძანებ??...

---

განცხადება

## თფილისის სავაჭრო ბანკი

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

### იღებს

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,

ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:

სამი თვით . . . . . . . . 6 %

ექვსი თვით . . . . . . . . 7 %

ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:

სამი თვით . . . . . . . . $7^1/_2$ %

ექვსი თვით . . . . . . . . 8 %

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში,

სარგებლიანი ქაღალდებით და ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . 7 %

3.) ვექსილების დაცვლაში . . . 8 %

4.) საქონლის გირაოში:

რომელიც მოტანილია . . . . . . 9 %

რომელიც გზაშია . . . . . . . 10 %

### იხდის

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %

2.) შესანახად მიბარებულში

ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . 5 %

ბ.) ექვსი თვით. . . . . . . . 5 %

გ.) ერთი წლით . . . . . . . . 6 %

დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადოებრივს დაწესებულებათაგან,—ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთმინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. პოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

В ТИФЛИССКІЙ КОММЕРЧЕСКІЙ БАНКЪ

От такого-то

ОБЪЯВЛЕНІЕ

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя токого то, или на предъявителя,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣстожительство.

---

„დროება“. 1874, № 410

# ცნობათ-ფურცელი

თფილისი, 8 ფებერვალს 1874 წ.

### რკინის გზა

ა) თფილისიდამ

| | დილა | საღამო |
|---|---|---|
| თფილისი . . . . . . | 8.8 | 8.17 |
| მცხეთა . . . . . . . | 9.8 | 10.— |
| გორი . . . . . . . | 11.39 | 1.43 |
| სურამი . . . . . . | 1.52 | 4.30 |
| ყვირილა . . . . . . | 6.49 | |
| ქუთაისი . . . . . . | 7.55 | |
| სამტრედია . . . . . | 9.02 | |
| ახალ-სენაკი. . . . . | 10.02 | |
| ფოთი . . . . . . . | 11.27 | |

ბ) თფილისისკენ

| | დილა | დილა |
|---|---|---|
| ფოთი . . . . . . . | 7.38 | |
| ახალ-სენაკი . . . . . | 9.11 | |
| სამტრედია . . . . . | 10.2 | |
| ქუთაისი . . . . . . | 11.7 | |
| ყვირილა . . . . . . | 12.38 | |
| სურამი . . . . . . | 4.57 | 7.15 |
| გორი . . . . . . . | 7.23 | 10.12 |
| მცხეთა . . . . . . . | 9.52 | 1.49 |
| თფილისი . . . . . . | 10.49 | 3.13 |

გ) ფასი თფილისიდამ

| | I კლ. | II კ. | III კ. |
|---|---|---|---|
| მცხეთამდი . . . . | 90 | 68 | 38 |
| გორამდი . . . . | 3.20 | 2.40 | 1.33 |
| სურამიდამ . . . . | 5.22 | 3.92 | 2.18 |
| ქუთაისამდი . . . . | 9.— | 6.75 | 3.75 |
| ფოთამდი . . . . . | 13.1 | 9.75 | 5.42 |

### ცეცხლის გემები

ა) შავ-ზღვაზე

ფოთიდამ გემი მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაფ. შუადღეზე.

სტამბოლს—კვირაობით შუადღეზე.

სოხუმიდამ:

ფოთს—სამშაფათს, ღამე.

ოდესას—პარასკევს, შუადღეზე.

ბ) კასპიის ზღვაზე:

ბაქოდამ გემი მიდის:

ასტრახნისკენ—

ასტრაბადისკენ—

### ტელეგრაფი

ოცი სიტყვის გაგზავნა ტელეგრაფით ღირს თფილისიდამ:

| | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს. | — | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . | 3 | — |
| ვენას, ავსტრიაში . . . . | 2 | 75 |
| გერმანიაში . . . . . . . | 2 | 63 |
| იტალიაში . . . . . . | 3 | 50 |
| საფრანგეთში . . . . . . | 3 | 38 |
| შვეიცარიაში, ოსპალეთში. | 3 | — |
| ინგლისში . . . . . . | 4 | — |
| საბერძნეთში . . . . . . | 3 | 25 |
| სპარსეთში . . . . . . | 5 | 76 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:

რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდა. ქუთაისს: ყოველ. დღე კვირას გარდა. კახეთს, ზუგდიდს: პარასკ. ოზურგეთს: ორშ., პარ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ. ალექსანდრეპოლს: ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდი)

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისს და რუსეთს: ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს: ორშაფ., ხუთშაფ. და შაფათს. ოზურგეთს, ზუგდიდს და ახალ-სენაკს: ორშაფათობით საღამომდე.)

გ) გორიდამ.

ყოველგან: ორშაფ ოთხშაფ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე)

დ) ფოთიდამ:

ყოველგან: ყოველდღე.

წიგნის გაგზავნა ღირს:

| | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის რუსეთში . . | 5 |
| დაბეჭდილი წიგნის რუსეთში | 10 |
| საფრანგეთში . . . . . . . | 20 |
| გერმანიაში . . . . . . . | 10 |
| ინგლისში . . . . . . . . | 20 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 18 იანვარს. | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | — |
| მოგებიანი (პირველი სესხის) | 163 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხისა) | 165 | — |
| **კ უ რ ს ი** | | |
| ერთ მანეთში იძლევიან. | | |
| ლონდონში. . . . . | $32^3/_4$ | პენ |
| პარიჟში . . . . . . . . | 345 | სან |
| ვენაში . . . . . . . . | — | — |
| ესკონტი (სარგებლის ფასი) | $6^3/_4$ | — |
| გიროს ფურცლები: | — | — |
| ხერსონის ბანკისა ($5^1/_2$) | 84 | — |
| ხარკოვის (6%) . . | 83 | 25 |
| მოსკოვის (5%). . . . | 88 | — |
| **ა ქ ც ი ე ბ ი:** | | |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 570 | — |
| კავკასის და მერკურის . . | 183 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 128 | — |
| თფილისის სავაჭრო ბანკის | — | — |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 284 | — |
| „სალამანდრასი“ . . . | 335 | — |
| კამპანიის Двигатель. . | 100 | — |
| პირვ. უზრუნველ-მყოფი (страх. общ.) საზოგ | 657 | — |
| მეორე უზრუნ. მყოფი საზ. | 190 | — |
| პეტერბ. უზრუნვ. მყოფი | 286 | — |
| მოსკოვის უზრუნვ. მყოფი | 288 | — |

### თფილისის მაზანდა

| 7 ფებერვალს, 1874 წ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური ერევნის . . . | 1 | 10 |
| — განჯის . . . . | 1 | — |
| — შორაგლის . . | 1 | — |
| ქერი. . . . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნის . . . | 4 | 20 |
| — ამერიკისა . . . . | 5 | 90 |
| გაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . . | 6 | — |
| — თარაქნული . . . | 4 | — |
| აბრეშუმი . . . . . | 7 | — |
| ქონი . . . . . | 4 | — |
| ქონის სანთელი . . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . | 11 | — |
| ხორცი ძროხის . . | — | 75 |
| — ცხვრის . . . | — | 90 |
| სპირტი . . . . . | 7 | — |
| შაქარი კარგი . . . . | 8 | — |
| — მდარე . . . | 7 | 95 |
| — ფხვნილი . . . | 6 | 20 |
| ყავა ბრგვალი . . . | 20 | — |
| — საშუალი . . . | 18 | 50 |
| — მდარე . . . | 16 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთის . . | 7 | — |
| — მწარე . . . | 4 | — |
| ოქრო ნახევარი იმპერიალი. | 6 | 5 |

### სახაზინო განცხადებები

„კავკაზის პრიკაზში“ ამ წლის 23 მაისს დანიშნულია ვაჭრობა თ. ი. ლ. თარხნ-მოურავის მამულის გასასყიდად, რომელიც მდებარებს სოფ. ერთაწმინდას და გომისჯვარი და ისყიდება 850 მანეთის ვალში. ვისაც ყიდვა სურს დაფასებითი სია შეუძლიანთ ნახონ კავკაზის პრიკაზში.

ამ წლის 25 ფებერვალს, ისყიდება კავკაზის პრიკაზში თფილისის მოქალაქის გ. დ. ქართველოვის სახლები 8000 მანეთის ვალში. დაფასებითი სია შეუძლიანთ ნახონ მყიდველებმა კავკაზის პრიკაზში.

კავკაზის მაზრის სამხედრო საექიმო სამმართველო აცხადებს, რომ ამ წლის 18 ფებერვალს დანიშნულია ვაჭრობა საავთმყოფო მაგაზინისათვის საჭირო მასალებისა და ნივთების მოტანაზე და გაკეთებაზედ. დაწვრილებითი პირობები ნახე „კავკაზის“ № 14-ში

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Февраля 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.